პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

საკვლევი თემა : ტექსტის გაგება - გაგების პრობლემები დაწყებით საფეხურზე და მათი გადაჭრის გზები

ფატი გაფრინდაშვილი

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯაროს სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი.

უფროსი მასწავლებელი

--- 2018 ---

სარჩევი

შესავალი

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზნები და ამოცანები

1.1. მოკლე ინფორმაცია საკვლევი კლასების შესახებ.
1.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი.
1.3. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები.
1.4. კვლევის მიზანი.
1.5. საკვლევი კითხვების ფორმულირება

თავი II

პრაქტიკული კვლევის არსი

თავი III

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი IV

კვლევის დიზაინი

4.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი
4.2. კვლევის მეთოდები
4.3. კვლევის ვადები

თავი V

კვლევის შედეგები

5.1. მონაცემთა ანალიზი
5.2. კვლევის მიგნებები

5.3. შესაძლო ინტერვენციები
5.4. განხორციელებული ცვლილებები

თავი VI

რეკომენდაციები და ინტერვენციის შეფასება

6.1. ინტერვენციის შეფასება
6.2. რეკომენდაციები

თავი VII

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

შესავალი

განათლებისრეფორმისერთ-ერთიმიზანიმოაზროვნე,
აქტიურიმკითხველისჩამოყალიბებაა.
ამისთვისზრუნვასწავლებისადრეულისაფეხურიდანვეუნდადავიწყოთ.
თუბავშვსიმთავითვეგავუღვივეთკითხვისსიყვარული, ისმასმთელიცხოვრებაგაჰყვება.
კითხვამოზარდსსაკუთარითავისადასამყაროსშეცნობაშიეხმარება.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯაროს სკოლის დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს.

ნაშრომში განხილულია დაწყებით საფეხურზე ტექსტის გაგება -გააზრებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემები და ამ პრობლემების გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებები.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან.

I თავში

- მოცემულია ინფორმაციასსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯაროს სკოლის დაწყებითი საფეხურის III კლასის შესახებ.
- განხილულიაპრობლემა და საკვლევი საკითხი.
- პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები.
- კვლევის მიზანი .
- საკვლევი კითხვების ფორმულირება

II თავი ეხება

- პრაქტიკული კვლევის არსს.

III თავი

- ლიტერატურის მიმოხილვას ეთმობა.

IV თავში

- კვლევის დიზაინია განხილული.

V თავი ეხება

კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგების ანალიზს. ქმედებების/ინტერვენციების შედეგების შეფასებას,

VIთავი მოიცავს

- რეკომენდაციებს,

VII თავში

- გაკეთებულია დასკვნა.

თავი I.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზნები და ამოცანები

1.1. მოკლე ინფორმაცია .

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯაროს სკოლის დაწყებითი საფეხურის IIIკლასში სწავლობს 10 მოსწავლეა, 5გოგონა და 5 ვაჟი,მოსწავლეებთან ვმუშაობ თანამედროვე მიდგომებით. გამუდმებით ვზრუნავ ჩვემს პროფესიონალურ განვითარებაზე, გავდივარ ტრენინგებს, ვკითხულობ შესაბამის ლიტერატურას, სხვადასხვა ნაშრომებს, მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას ვნერგავ სწავლის პროცესში. აქტიურად ვთანამშრომლობ კოლეგებთან, ერთობლივად ვგეგმავთ და ვატარებთ გაკვეთილებს, ვიყენებთ ინოვაციებს და თანამედროვე ტექნოლოგიებს საგაკვეთილო პროცესში რაც ხელს მიწყობს ხარისხიანად წარმართოთ სწავლა–სწავლების პროცესი.
კლასში არიან განსხვავებული მზაობის, შესაძლებლობისა, ინტერესებისა და მოტივაციის მოსწავლეები.

1.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი

ვთვლი,რომ დაწყებითი საფეხური მნიშვნელოვანი პერიოდია ბავშვის, როგორც მკითხველის ჩამოყალიბებაში.
ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებ აეფუძნება მდიდარ სხვადასხვა სახის მხატვრულ და ინფორმაციულ ტექსტებს.
კვლევის საფუძველი გახდა ის რომ , ჩემს სამუშაო პრაქტიკაზე დაკვირვებითა და დიაგნოსტიკური ტესტების შედეგებით კითხვასა და მათემატიკაში (გამოვიყენეთ G-pried-ის საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის დიაგნოსტიკური ტესტები) ნათელი გახდა,რომ მოსწავლეთა ნაწილს უჭირდა ან ვერ ახერხებდა ტექსტებისა და მათემატიკური ამოცანის პირობის გაგება - გააზრებას.(მე ვასწავლი III-კლასს ქართულსა და მათემატიკას) როდესაც ჩემი პრობლემების შესახებ კოლეგებთან ვისაუბრე, აღმოჩნდან რომ სხვა პედაგოგებსაც ჰქონდათ მსგავსი პრობლემები,(პედაგოგოებს **ნინო გვეხიძესა**(VI-კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს) **და ნორა ბუცხრიკიძეს**(IV-კლასის მათემატიკის მასწავლებელს)) როგორც ქართულის, ასევე მათემატიკის გაკვეთილზე-ამოცანის პირობის გააზრების თვალსაზრისით.ამიტომ პრობლემა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ახერხებს წაკითხულის გაგება-გააზრებას, თანაბრად გვეხებოდა სამივე ჩვენგანს. ამ პრობლემამ გაგვაერთიანა და გადავწყვიტეთ კვლევის ერთობლივი წარმოება(ვიმუშავეთ ერთობლივად დასახული გეგმითა და ურთიერთ თანამშრომლობით ჩვენს-ჩვენს კლასებში). ჩვენი ემპირიული დაკვირვების შედეგად

გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებსაც ხშირად ვაწყდებით პედაგოიურ პრაქტიკაში, არა მარტო დაწყებითი კლასების მასწავლებლები: დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის მარტივია ტექსტიდან ზედაპირული ინფორმაციის გაგება, ხოლო რაც შეეხება ტექსტიდან გამომდინარე დასკვნებს, მსჯელობას, შეფასებას, ჟანრის გაგებას და ა.შ. ამ მხრივ პრობლემები გამოიკვეთა. შევამჩნიეთ, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მხატვრული ტექსტების გააზრებაში უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში.

ვთვლი,რომ ტექსტების კითხვა, გაგება-გააზრება თანამედროვე ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი უნარია. მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნების გამოტანა, მაგ. პერსონაჟი დაახასიათოს მისი მეტყველების და ქცევის მიხედვით. ამ დროს, გარდა იმისა რომ მკითხველი აკეთებს დასკვნებს, შეუძლია ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შემდგომი მოვლენებიც ივარაუდოს.კარგი მკითხველები ცდილობენ გამოკვეთონ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, გამოიტანონ დასკვნები მათი მიზეზებისა და შესაძლო შედეგების შესახებ. ეს აუცილებელი უნარებია ტექსტის გასააზრებლად , ვინაიდან ავტორი ყველა დეტალს ვერ გააშუქებს, ხშირად ის არაპირდაპირი, იმპლიციტური სახით გვაწვდის იდეებს თითოეული დეტალის საგანგებო აღწერისა და ახსნა განმარტების გარეშე. როგორც ვხედავთ, გაგება-გააზრება კომპლექსური უნარია, რომლის განვითარებას საკმაო დრო და ძალისხმევა სჭირდება.ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, საშუალო სკოლებში ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებით საფეხურზე იწყება.

სწორედ ჩვენი კვლევა მივუძღვენით ამ მეტად მნიშნელოვან საკითხს. ***კერძოდ, დაწყებით კლასებში ტექსტის გაგება- გააზრების პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს*** .

აღნიშნული კველევა სარგებლობას მომიტანს მე, როგორც პედაგოს იმ კუთხით,რომ ჩემი პროფესიული საქმიანობა გახდება კიდევ უფრო ხარისხიანი. ჩემი მოსწავლეები ჩამოყალიბდებიან გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ მკითხველებად. ვფიქრობ, რომ კოლეგებიც დანერგავენ თავიანთ პრაქტიკაში მსგავსი ტიპის კვლევებს .

1.3. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

დავიწყე მუშაობა პრობლების გამომწვევ სავარაუდო მიზეზებზე.ვთვლი,რომ გაგება - გააზრების პრობლემის გამომწვევი მიზეზების სწორად დადგენა მნიშვნელოვნია და დაეხმარება მოსწავლეებს ტექსტებთან მუშაობისას ბარიერების გადალახვაში.
კითხვა გაგება-გააზრების გარეშე კითხვა არ არის. არიან ბავშვები, რომელთაც შეუძლიათ სწორად წაიკითხონ სიტყვები, მაგრამ თუ ჰკითხავთ რა წაიკითხა, ვერაფერს ამბობენ.

ტექსტის გაგება გააზრებისპრობლემებიმრავალმაფაქტორმაშეიძლებაგამოიწვიოს. ვთვლი, რომ ყველაზეგავრცელებულიმიზეზებია:

- **გაუწაფავი კითხვა;** (მოსწავლე იმდენად დიდ ენერგიას ხარჯავს სიტყვების ამოცნობასა და ,,გაბგერებაზე", რომ მათი მნიშვნელობა ,,ეკარგება".
- **მოტივაციის არქონა;** (მოსწავლეს იმდენად არ სჭირდება ან არ აინტერესებს ტექსტის თემა და შინაარსი, რომ ვერ ახერხებს მასში გადმოცემულ ინფორმაციაზე კონცენტრირებას.
- მწირილექსიკურიმარაგი;
- მკითხველისთვისუცნობისაკითხავითემა;
- ტექსტისსირთულე;
- კითხვისეფექტურისტრატეგიებისარაადეკვატურიგამოყენება;
- სუსტივერბალურიმსჯელობა;
- ინფორმაციის, დახარისხების,დაჯგუფების,შედარებისმსგავსება - განსხვავების და ა.შ. პრობლემები;
- წაკითხვისშემდეგინფორმაციისაღდგენისპრობლემა.

1.4. კვლევის მიზანი

- **დაწყებით კლასებში ტექსტის გაგება- გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზების შესწავლა, დადგენა, გამოკვლევა.**
- **პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების გამონახვა.**
- **შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა,განხორციელება.**
- **მიღწეული შედეგების შეფასება .**

1.5. საკვლევი კითხვების ფორმულირება .

კვლევის მთავარი კითხვა :

- **რატომ უჭირს/ვერ ახერხებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ნაწილს ტექსტისა და მათემატიკური ამოცანის პირობის გაგება-გააზრებადა როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეებში გაგება - გააზრების უნარის განვითარებას?**

ქვეკითხვები.

კვლევის მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოვაყალიბე შემდეგი ქვეკითხვები .

- როგორ მუშაობენ მოსწავლეები მწირილექსიკური მარაგის გამდიდრებაზე?
- აქვთ თუ არა გაწაფული კითხვის დეფიციტი?
- ხომ არ ხდება კითხვის ეფექტური სტრატეგიების არაადეკვატური გამოყენება ?

- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ინფორმაციის დახარისხება ,დაჯგუფება და ა.შ.
- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს მთავარი და მეორეხარსხოვანი ინფორმაციის გამოყოფა?
- აქვთ თუ არა მოსწავლეებს ინფორმაციის გადამუშავების პრობლემები?
- ვლინდება თუ არა წაკითხვის შემდეგ ინფორმაციის აღდგენის პრობლემა?
- ფლობენ თუ არა გაგება -გაზრების სხვადასხვა სტრატეგიებს?
- იყენებენ თუ არა გაგება -გააზრების გრაფიკულ სქემებს ?
- რა მეთოდებით მუშაობენ ამოცანის პირობის გააზრებაზე?
- მასწავლებლები იყენებენ თუ არა შესაბამის მეთოდებს და მიდგომებს?

თავი II

პრაქტიკული კვლევის არსი

საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, წამოვაყენე საკვლევი პრობლემა, რომელიც შეეხებოდა დაწყებით კლასებში ტექსტის გაგება -გააზების პრობლემებს და მისი გადაჭრის, გაუმჯობესების გზებს .

პრაქტიკული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიდგომას, მკვლევარებისა და არასპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ ქმედებას. პრაქტიკულ კვლევაში ჩართული პიროვნებები ერთგუნდად ერთიანდებიან, ერთმანეთს მოსაზრებებს უზიარებენ, იღებენ გადაწყვეტილებებს და სასურველ შედეგსაც აღწევენ.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობა:

1.სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეები.
2.სსიპჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეთა მშობლები .
3.სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგები.

თავი III.

ლიტერატურის მიმოხილვა.

განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანი მოაზროვნე, აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებაა. ამისთვის ზრუნვა სწავლების ადრეული საფეხურიდანვე უნდა დავიწყოთ. თუ ბავშვს იმთავითვე გავუღვივეთ კითხვის სიყვარული, ის მას მთელი ცხოვრება გაჰყვება. კითხვა მოზარდს საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობაში ეხმარება.

2006 და 2011 წელს საქართველოში ჩატარებულმა წიგნიერების საერთაშორისო კვლევამ(PIRLS) ასევე მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნის სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევამ(TIMSS) გამოავლინა, რომ საქართველოს სკოლებში აუცილებელია კითხვისა და მათემატიკის სწავლებისა და მოსწავლეთა მიღწევების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. PIRLS-ი აფასებს მოსწავლეთა მიერ წაკითხულის გაგება-გააზრების უნარს ოთხი მიმართულებით:

- ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა;
- უშუალო დასკვნის გამოტანა:
- აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების საფუძველზე;
- ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ტექსტების გააზრება;

გამოიკვეთა რომ, დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მხატვრული ტექსტების გააზრებაში უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში..

კითხვისა და მათემატიკის საერთაშორისო შეფასების შედეგად გამოიკვეთა ფაქტორები რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე კითხვასა და მათემატიკაში:

- **ოჯახი და მშობელთა ჩართულობა მოსწავლის სწავლის პროცესში**ოჯახი მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლის წარმატებას როგორც კითხვის , ასევე მათემატიკის მიმართულებით. უკეთესი შედეგები აჩვენეს იმ მოსწავლეებმა , რომელთა მშობლებსაც უყვართ კითხვა, მშობლებთან ერთად ჩართულნი არიან კითხვისა და მათემატიკის აქტივობებში და აქვთ სწავლისათვის საჭირო რესურსი.
- **სასკოლო რესურსი კითხვისა და მათემატიკის სწავლებისთვის** კითხვასა და მათემატიკაში უკეთესი შედეგები აჩვენეს მოსწავლეებმა, რომელთა სკოლებსაც აქვთ სათანადო სამუშაო გარემო და აღჭურვილობა, ასევე მრავალფეროვანი რესურსები : წიგნები, კომპიუტერი, თვალსაჩინოებები, მანიპულატივები და სხვა.

- **სკოლის კლიმატი** მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეები უმეტესად დადიან სკოლებში, რომლებისთვისაც აკადემიური წარმატება უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს, ჰყავთ ეფექტური მასწავლებლები და უზრუნველყოფენ მშობლებთან აქტიურ ნაყოფიერ თანამშრომლობას. მოსწავლეებს, რომელთა სკოლაშიც მოუწესრიგებელი სასწავლო გარემო იყო და შეიმჩნეოდა ბულინგის შემთხვევები, საგრძნობლად დაბალი შედეგები ჰქონდათ, ვიდრე იმ მოსწავლეებს რომლებიც მოწესრიგებულ და უსაფრთხო სკოლაში სწავლობდნენ.
- **მასწავლებელთა მომზადება** შედარებით მაღალი შედეგები აჩვენეს იმ მოსწავლეებმა, რომელთა მასწავლებლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და მომზადება შესაბამის საგანში. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად გამოიკვეთა მასწავლებელთა გამოცდილება და საკუთარი პროფესიითა და კარიერით კმაყოფილება.
- **სწავლება** მაღალი შედეგები აჩვენესმოსწავლეებმა, რომელთა მასწავლებლებიც საინტერესოდ წარმართავენ სასწავლო პროცესს და იყენებენ მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს. ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად გამოიკვეთა კითხვისა და მათემატიკის სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და საკლასო ოთახებში სწავლების გაუმჯობესების მიზნით მასწავლებელთა თანამშრომლობა.

მკითხველი სხვადასხვა სახის ტექსტიდან იძენს ცოდნას სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ და განიცდის ინტელექტუალურ სიამოვნებას (Greany & Neuman, 1990; Organization for Economic Cooperation and Develpment, 1999, Wagner, 1991). წაკითხულის გააზრება მკითხველს ტექსტთან ინტერაქციისა და უკვე არსებული გამოცდილების კონტექსტში უწევს (Snow, 2002). კითხვის დაწყებამდე, კითხვის პროცესში და შემდგომ მკითხველი მრავალ ლინგვისტურ უნარს, კოგნიტურ და მეტაკოგნიტურ სტრატეგიასა და გამოცდილებაში არსებულ ცოდნას იყენებს (Baker & Beall, 2009; Pressley & Gaskins, 2006)

- კითხვა, ძირითადად, ორ მიზანს ემსახურება:
- 1. ლიტერატურული გამოცდილების მიღება;
- 2. ინფორმაციის მიღება და გამოყენება.
- კითხვა ლიტერატურული გამოცდილების მიღების მიზნით ხელს უწყობს ზოგადად კითხვის მიმართ ინტერესისა და წიგნის სიყვარულის გაღვივებას; ხოლო კითხვა ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების მიზნით ეხმარება მოსწავლეს ცოდნის შეძენასა და დაგროვებაში.
- ლიტერატურის გასაგებად და შესაფასებლად მკითხველმა მოცემულ ტექსტთან ერთად საკუთარი გამოცდილება, გრძნობები, ენობრივი მახასიათებლების

აღქმა და მხატვრული ტექსტის გამოსახვის ფორმების ცოდნა უნდა დაიხმაროს.

პატარა მკითხველებს მხატვრული ლიტერატურა ჯერ კიდევ უცნობი სიტუაციებისა და გრძნობების აღმოჩენის საშუალებას აძლევს. არანაკლებ მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექსტები, რომლებიც რამდენიმე სახის შეიძლება იყოს. მაგალითად, ქრონოლოგიურად დალაგებულ საინფორმაციო ტექსტებში აზრები დროში თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი. ასეთ ტექსტებში ამბები შეიძლება მოყოლილი იყოს ისტორიული ფაქტების, დღიურში ჩანაწერების, პირადი ანგარიშების ან წერილების სახით. აქ მთავარი ადგილი უჭირავს ბიოგრაფიებსა და ავტობიოგრაფიებს, რეალური ცხოვრებისეული ამბების დეტალურ აღწერას. არსებობს კიდევ სხვაგვარი ქრონოლოგიურად ორგანიზებული ტექსტები, რომლებიც პროცედურული სახისაა, მაგალითად, რეცეპტები და ინსტრუქციები. ეს ტექსტები ხშირად იმპერატიული ფორმით ხასიათდება, რაც გულისხმობს, რომ მკითხველს წაკითხულის არა მარტო გაგება, არამედ შესრულებაც მოეთხოვება. არსებობს აღწერითი ხასიათის საინფორმაციო ტექსტებიც, რომლებშიც წარმოდგენილია რაიმეს ახსნა-განმარტება, ან აღწერილია ადამიანები, მოვლენები, ფაქტები. თემატური ორგანიზების შემთხვევაში, ერთ თემასთან დაკავშირებული საკითხები ტექსტში ერთადაა დაჯგუფებული და აღწერილი. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ინფორმაცია უწყვეტი ტექსტის სახით არ იყოს წარმოდგენილი. ამისათვის ტექსტს ურთავენ ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა: ცხრილები, დიაგრამები, გრაფიკები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ერთ საინფორმაციო ტექსტში ხშირად ინფორმაციის წარმოდგენის ერთი ან მეტი ხერხია გამოყენებული. ხშირ შემთხვევაში ტექსტის სახით მოცემული ინფორმაციაც კი წარმოდგენილია ცხრილების სახით და ილუსტრირებულია სურათებითა და დიაგრამებით.

წაკითხულის გააზრების პროცესები მკითხველი ცდილობს, რომ შინაარსს სხვადასხვა გზით ჩასწვდეს. ის პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას, აკეთებს დასკვნებს, ახდენს ტექსტის აზრებისა და იდეების ინტერპრეტაციასა და საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირებას (დაკავშირებას, შეჯერებას), იკვლევს და აფასებს ტექსტის მახასიათებლებს. ეს პროცესები მეტაკოგნიტურ სტრატეგიებსა და პროცესებს წარმოადგენს, რომლებიც მკითხველებს თავიანთი გაგების უნარის შემოწმებისა და სხვადასხვა მიდგომის მორგების საშუალებას აძლევს (Jacobs, 1997; Kintsch & Kintsch, 1983). აგრეთვე, აღსანიშნავია ის, რომ ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მკითხველს ახალი ტექსტის კითხვის დროს მოჰყვება, საშუალებას აძლევს მას, შეიცნოს ენა, ტექსტი და ის სამყარო, რომლის ,,გავლითაც" წაკითხული მასალის გააზრებს ხდება.

(Alexander & Jetton, 2000; Beach & Hynds, 1996; Clay, 1991; Galda & Beach, 2001; Hall, 1998).

კითხვის მიზნებს შორის სხვაობის მიუხედავად, პროცესები და სტრატეგიები, რომლებსაც მკითხველი იყენებს ამა თუ იმ ტექსტის კითხვის დროს, მეტ-ნაკლებად საერთოა. ეს პროცესებია:

ა. ტექსტში ექსპლიციტურად, ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა;

ბ. ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარე დასკვნების გამოტანა;

გ. ტექსტის აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების (დაკავშირების, შეჯერების) საფუძველზე;

დ. ტექსტის ენის შეფასება და მხატვრული ხერხების გააზრება.

ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა

პროცესი გულისხმობს ტექსტის გარკვეულ ნაწილში, წინადადებაში ან ფრაზაში ღიად, ცხადად მოცემული ინფორმაციის, აზრის ან დეტალის დაკავშირებას შეკითხვაში მოცემულ მოსაძიებელ ინფორმაციასთან. ამ დროს მკითხველს არ მოეთხოვება (ან თითქმის არ მოეთხოვება) დასკვნის გამოტანა. ეს პროცესი ხელს უწყობს ამა თუ იმ საგნის სწავლისას ფაქტობრივი ინფორმაციის ამოკრებისა და დაგროვების უნარის განვითარებას. ტექსტში ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციას ადამიანები სხვადასხვანაირად აქცევენ ყურადღებას. ზოგიერთმა აზრმა შეიძლება მიიპყროს ინდივიდის ყურადღება, ზოგმა კი – არა. მაგალითად, მკითხველი შეიძლება ფოკუსირებული იყოს იმ ინფორმაციაზე, რომელიც ადასტურებს ან, პირიქით, ეწინააღმდეგება მის ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ, ან რომელიც მის ზოგად მიზნებს (გარკვეული ინფორმაციის მიღებას, ცოდნის შეძენას)უკავშირდება. დამატებით, მკითხველს ხშირად ტექსტში წარმოდგენილი ექსპლიციტური ინფორმაციის პოვნა იმისთვის სჭირდება, რომ დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხოს ან შეამოწმოს, თუ როგორ ესმის ტექსტის შინაარსი. ინფორმაციის წარმატებით საპოვნელად აუცილებელია ტექსტის საკმაოდ სწრაფი ან ავტომატური გაგება. ეს პროცესი, ფაქტობრივად, არ საჭიროებს დასკვნების გამოტანასა და ინტერპრეტირებას. ამ შემთხვევაში შინაარსი ტექსტში ნათლად ჩანს. მთავარია, მკითხველმა მოცემული ტექსტი იმ ინფორმაციასთან დააკავშიროს, რომელსაც ეძებს. წაკითხულის გააზრების ეს პროცესი, ძირითადად, წინადადებებზე ან გამონათქვამებზე ფოკუსირებას მოითხოვს. იგი შეიძლება საჭიროებდეს რამდენიმე სახის ინფორმაციის მოძიებას, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში,

ინფორმაცია, ჩვეულებრივ, წინადადებაში ან კონკრეტულ გამონათქვამშია მოცემული. ამ პროცესის ფარგლებში მკითხველმა უნდა შეეძლოს:

- კითხვის სპეციფიკურ მიზანთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება;
- კონკრეტული ცნებების მოძიება;
- სიტყვების ან გამონათქვამების განმარტებების მოძებნა; მოქმედების კონტექსტის იდენტიფიცირება (მაგ., დრო, ადგილი);
- მთავარი, საკვანძო წინადადების ან მთავარი აზრის პოვნა (თუ ექსპლიციტურადაა მოცემული).
- **ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარე დასკვნების გამოტანა**

პროცესი გულისხმობს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციისა თუ მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირებით დასკვნის გამოტანას. ამგვარი დასკვნის გამოტანა, ისევე როგორც ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა, უშუალოდ ტექსტს ემყარება, ოღონდ ამ დროს მკითხველის ყურადღება ტექსტის უფრო ვრცელ მონაკვეთებზე ან მთლიან ტექსტზეა მიმართული. ეს პროცესი საშუალებას აძლევს მკითხველს, ამოიკითხოს ის, რაც ტექსტში ექსპლიციტურად არ არის მოცემული, მაგრამ ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარეობს. უშუალო დასკვნების გამოტანა მკითხველს ტექსტის მიღმა გახედვის შესაძლებლობასა და ე.წ. ,,ინფორმაციის ნაპრალების" ამოვსების საშუალებას აძლევს. უნარიანი მკითხველი ასეთ დასკვნებს ავტომატურად აკეთებს. ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას იგი სწრაფად უკავშირებს ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ეს კავშირი თვალსაჩინოდ არაა წარმოდგენილი. ბევრ შემთხვევაში ავტორი ისე აგებს ტექსტს, რომ შინაარსს თვითონ მიჰყავს მკითხველი აშკარა დასკვნამდე. მაგალითად, კონკრეტული პერსონაჟის მოქმედება მთელი მოთხრობის განმავლობაში, შეიძლება, აშკარად მიუთითებდეს მის რომელიმე პიროვნულ თვისებაზე. აქედან გამომდინარე, მკითხველთა უმეტესობაც შესაბამის დასკვნას გამოიტანს. უშუალო დასკვნების გამოტანის პროცესი, ზოგადად, კრიტიკული აზროვნების განვითარებას, განსაკუთრებით კი _ არგუმენტაციის უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ამ პროცესის ფარგლებში მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რომ ერთმა მოვლენამ გამოიწვია მეორე;
- დასკვნის გამოტანა ტექსტში დიდი რაოდენობით წარმოდგენილი არგუმენტების მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმის განსაზღვრა, თუ ვის მიმართაა ნაცვალსახელი გამოყენებული ტექსტში;
- ორ პერსონაჟს შორის არსებული კავშირის დანახვა და აღწერა.

ტექსტის აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან ინტეგრირების (დაკავშირების, შეჯერების) საფუძველზე

პროცესი გულისხმობს ტექსტის მთლიანობაში გაგებას, ტექსტში მოცემული აზრებისა და ინფორმაციის გააზრებას; როგორც მთელი ტექსტის, ისე მისი ცალკეული პასაჟის იმპლიციტური (ნაგულისხმევი, ფარული) შინაარსის ამოცნობას და ინტერპრეტაციას საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირების საფუძველზე. ეს პროცესი ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, განსჯის უნარის განვითარებას. ამ შემთხვევაში უფრო მეტად საჭიროა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობა და არა უშუალო დასკვნების გამოტანა. იქიდან გამომდინარე, რომ შინაარსი ინტერპრეტირებისა და ინტეგრირების საფუძველზე ყალიბდება, სავარაუდოდ, მკითხველები ერთმანეთისგან განსხვავებულ, საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებულ აზრებს ჩამოაყალიბებენ. მაგალითად, პერსონაჟის ქცევის საფუძვლად მდებარე მოტივების ასახსნელად, მკითხველი შეიძლება თავის გამოცდილებას დაეყრდნოს.

მასში მოიაზრება:

- ტექსტის მთავარი იდეის, ძირითადი აზრის, თემის ამოცნობა;
- მთლიანად ნაწარმოების ან პერსონაჟის განწყობის ამოცნობა;
- ნაწარმოებში მომხდარი ამბის, მოვლენის, აგრეთვე, პერსონაჟის მდგომარეობის ან მოქმედების მოტივის ამოცნობა;
- საკუთარი ცოდნისა და ტექსტში მოცემული ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე დასკვნის გამოტანა;
- ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისგან გარჩევა;
- გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა და ლოგიკურად ჩამოყალიბება;

საინფორმაციო ტექსტი გულისხმობს არამხატვრული კატეგორიის რესურსს, რომელიც მოცემულია ბიოგრაფიის და ავტობიოგრაფიის, ისტორიული ჟანრის სახით. საინფორმაციო ტექსტები ასევე მოიცავს წიგნებს სოციალური და სამეცნიერო მოვლენების შესახებ, წიგნებს ხელოვნებაზე, ტექნიკური ხასიათის წიგნებს. კვლევები სმიხედვით, მეექვსეკლასამდე მოსწავლის საკითხავი მასალის 7-15%-ს ინფორმაციული ხასიათის ტექსტები შეადგენს. ზრდასრული ადამიანის შემთხვევაში კი, საკითხავი მასალის 80% არამხატვრულია. არამხატვრულ ტექსტებთან მუშაობა,

სწორი გააზრება, დამუშავება და ანალიზი კრიტიკულია მოსწავლეების სამომავლო წარმატებისათვის.

არამხატვრული, საინფორმაციო-შემეცნებითი, ენციკლოპედიური ტექსტების კითხვა, გაგება და გააზრება თანამედროვე ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი უნარია. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, საშუალო სკოლებში ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებით საფეხურზე იწყება. საგნობრივი პროგრამის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება.
- სხვა და სხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გადმოცემა.
- წაკითხული წინადადებებისა და ტექსტის კონსტრუირება.
- სხვა და სხვა სახის ტექსტების შეგნებულად და გააზრებულად კითხვა.
- მისთვის ნაცნობ თემებზე სხვა და სხვა ხასიათის ტექსტების გამართულად წერა.
- სხვა და სხვა სახის საინფორმაციო ხასიათის ტექსტებში ინფორმაციის მოძიება და გაგება.

  შედეგზე გასასვლელად აუცილებელია მასწავლებელმა იმუშაოს შემდეგ საკითხებზე.

  1. რა არის გაგება -გააზრება და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი.
  2. როგორ ვითარდება გაგება -გააზრების უნარი.
  3. სასწავლო ამოცანები და სწავლის ტრაექტორია.
  4. კარგი კითხველის უნარ-ჩვევები და სტრატეგიები.
  5. გაგება გააზრების სწავლების ზოგადი პრინციპები.
  6. გაგების უნარ-ჩვევების და სრტატეგიების ნაბიჯ-ნაბიჯ დანერგვის მოდელი.
  7. კითხვის დასმა და პასუხების ძიება,როგორც გაგება-გააზრების მთავარი სტრეტეგია.
  8. ძირითადი რჩევები მოსწავლეთა გაგება -გააზრების უნარის განსავითარებლად.

თავი IV.

კვლევის დიზაინი

კვლევის სამიზნე ჯგუფი:

1.სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეები.
2.სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეთა მშობლები .
3.სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგები.

კვლევის მეთოდები.

მონაცემთა შეგროვება განვახორციელეთ შემდეგი მეთოდების გამოყენებით.

1.რაოდენობრივი მეთოდი --- „გამოკითხვა"-- კერძოდ წერილობითი გამოკითხვა ანუ ანკეტირება .

ანკეტირება ---მივმართე ანკეტირებას რათა გამეგო პასუხები კვლევისთის მნიშვნელოვან კითხვებზე. კითხვარები მოვამზადე:

--- დაწყებითი III კლასის მოსწავლეებისთვის

---მათი მშობლებისათვის.

კითხვები იყო დახურული.ანკეტირება მოხდა ანონიმურად, რადგან ამ დროს რესპოდენტი არ იზღუდება და გულწრფელია პასუხების გაცემის დროს .შესაბამისად მის მიერ გაცემული პასუხები სანდოა და ზუსტია .

2.კვლევის მეთოდი „დაკვირვება"--კერძოდ ჩართული დაკვირვება

I ეტაპზე გამოვიყენე აღწერითიდაკვირვება ,რითაც დავადგინე რაზე უნდა გამეკეთებინა ფოკუსირება .

II ეტაპზე გამოვიყენე ფოკუსირებული დაკვირვება და მკაფიოდ გამოვყავი კვლევის კონკრეტული ელემენტები.

III ეტაპზე გამოვიყენე შერჩევითი დაკვირვება რითაც კიდევ უფრო ზუსტად დავაკვირდი წინა ეტაპზე გამოყოფილ საკვლევ ელემენტებს.

3.ფოკუსჯგუფი

დაწყებითი კლასების პედაგოგებთან და მოწავლეებთან

ფოკუსჯგუფი ეს მეთოდი გულისხმობს რამდენიმე ადამიანის ინტერვიურებას. მისი გამოყენება სასარგებლოა ისეთ ჯგუფში, რომელიც საერთო მიზნის მისაღწევად ერთად მუშაობს დსა მაშინ როცა ჯგუფში მნიშვნელოვანია იცოდნენ, რას ამბობენ ჯგუფის დანარჩენი წევრები. კვლევის პროცესში, ფოკუსჯგუფის, როგორც კვლევის

მეთოდის გამოყენება პრობლემის იდენტიფიცირებისათვის გახდა **საჭირო.(კითხვები ფოკუსჯგუფებისთვის იხ. დანართში)**

მიზანი მოსწავლეებთან:

- **გამერკვია მათი დამოკიდებულება ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემებთან დაკავშირებით.**

მიზანი მასწავლებლებთან:

- **იმის დადგენა, რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს ტექსტების გაგება-გააზრება.**
- **ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განსავითარებლად გამოყენებული სტრატეგიები ეფექტური იყო თუ არა.**
- **მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრებასთან არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები**

4. ფოკუსირებული დაკვირვება

- **გამოვიყენეთ საგაკვეთილო პროცესის დროს დიფერენცირებულ ჯგუფებზე.**
- **ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარების ხელშესაწყობად მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები**
- **მასწავლებლის მიერ გამოყენებული რესურსები რომელიც ტექსტის გაგება-გააზრებას შეუწყობს ხელს**
- **განმავითარებელი შეფასების ეფექტურობა**

5.დიაგნოსტიკური ტესტირება (კითხვასა და მათემატიკაში)

ტესტირების მიზანი:

- მოსწავლეთა წარმატება/წარუმატებლობის მიზეზების პოვნა
- სწავლების გეზის მიცემა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.
- გამეზომა მოსწავლეთა შედეგები ინტერვენციამდე და ინტრვენციის შემდეგ, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ჩვენს მიერტექსტის გაგება-გააზრების პრობლემების გადაჭრისთვის გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობა.

კვლევის ვადა --- ხუთი თვე (იანვარი,თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი)

თავი V.

კვლევის შედეგები

5.1.მონაცემთა ანალიზი

რაოდენობრივი მეთოდი --- „გამოკითხვა “-- **კერძოდ წერილობითი გამოკითხვა ანუ ანკეტირება .**

ა) მოსწავლეთა გამოკითხვით დავადგინეთ შემდეგი:

- უყვართ თუ არა კითხვა ? აღმოჩნდა რომ გამოკითხული მოსწავლიდან მხოლოდ 10% არ უყვარს კითხვა 90% - ს უყვარს.
- რა სიხშირით კითხულობდნენ დამატებით საკითხავს ? აღმოჩნდა ,რომ 60 % კითხულობს ხშირად. 40 % იშვიათად და 0 % არ კითხულობს .
- რომელი ტიპის ტექსტს უფრო ხშირად კითხულობენ? დავადგინე ,რომ 70 % კითხულობს მხატვრულს, 0% ინფორმაციულს და 30% ორივეს.
- რომელი სახის ტექსტი უფრო მოსწონთ? აღმოჩნდა რომ, ინფორმაციული ტექსტი მოსწონს 0 %, მხატვრული 70%, ორივე 30%.
- რომელი ტიპის ტექსტის გაგება -გააზრება უფრო უადვილდებათ .დავადგინე რომ მხატვრული 60 %,ინფორმაციული 30% ,ორივე 10 %.
- მაინტერესებდა ინფორმაციული საკითხავიდან რომელი თემები აიტერესებდათ .აღმოჩნდა რომ ცხოველთა და ფრინველთა სამყარო 60 %,ისტორიული მოვლენები 10%, კოსმოსი 20% ,გამოგონებები 10%,ბიოგრაფიები 0 %.
- რა ხერხებს იყენებდნენ ტექსტში უცნობი სიტყვის შემთხევაში . მივიღე ასეთი შედეგები. ვაგრძელებ კითხვას 20% ,ვეკითხები სხვა 30%, გამოვთქვამ ვარაუდს 30%, ვცდილობ ავხსნა კონტექსტში 20%.
- ტექსტის კითხვა ინდივიდუალურად ურჩევნია 60%, წყვილში კითხვა---10 %, ჯგუფურად---30%.
- ასევე გვინდოდა გაგვეგო შეეძლოთ თუ არა წაკითხულის ირგვლივ კითხვების დასმა და პასუხების გაცემა .აღმოჩნდა დიახ შემიძლია 90 %, არ შეიმძლია 10% ,მიჭირს დამოუკიდებლად 0 %.**(დანართი 5)**

ბ)*მშობელთა გამოკითვით დავადგინეთ შემდეგი:*

- კითხულობდნენ თუ არა შვილებთან ერთად . აღმოჩნდა , რომ ყოველდღე კითხულობს 10 % , იშვიათად 30 %, ცდილობს ხშირად იკითხოს 40% . პრაქტიკულად ვერ ახარხებს 20 %.
- შვილებთან ერთად მხოლოდ სკოლის სახელმძღვანელოს ტექსტებს კითხულობს 60%, დამატებით საკითხავ ლიტერატურას ---0%, ორივეს -- 40%.
- რა ტიპის ტექსტებს კითხულობენ. დავადგინე ,რომ მხატვრულს 40 % ,ინფორმაციულს 20% , ორივეს 50%

- აღმოჩნდა , რომ მხატვრული ტექსტი მოსწონს 40%, ინფორმაციული -- 20%, ორივე --40%.
- მსჯელობდნენ თუ არა წაკითხვის შემდეგ აღმოჩნდა ,რომ არ ვმსჯელობთ 10%, ვუსვამ კითხვებს 30 %, ვეკითხები რა მოეწონა, რა არ მოეწონა30 %,ვცდილობ ვიმსჯელოთ 30%.
- რომელი ტიპის გაგება გააზრება უფრო ეძნელებათ შვილებს აღმოჩნდა, რომ ინფორმაციული ტექსტის გაგება-გააზრება ეძნელება 90%,მხატვრულის-10%,ორივე 0 %.
- არჩევთ თუ არა შვილისთვის ასაკის შესაბამის ტექსტებს? აღმოჩნდა რომ ხანდახან ვცდილობ შევურჩიო ასაკის შესაბამისი 40%, არ ვაქცევ ყურადღებას რას წავუკითხავ --0%, ვურჩევ ასაკის შესაბამისად --60%.
- რას ნიშნავს ტექსტის გეგბა გააზრება მივიღე ასეთი შედეგი. როცა ბავშვს ესმის ტექსტის ყველა სიტყვა 20 %, როცა შეუძლია გადმოსცეს წაკითხული 20 %, როცა შეუძლია იმსჯელოს დაგამოთქვას საკუთარი აზრი წაკითხულის ირგვლივ 60 %.
- მაინტერესებდა მშობელთა აზრი, თვლიდნენ თუ არა რომ მშობელთა ჩართულობას შვილის კარგ მკითხევლად ჩამოყალიბებაში აუცილებელად . მივიღე შემდეგი შედეგები არა არის საჭირომშობლის ჩარევა 10 % ,დამოუკიდებლადაც ჩამოყალიბდება 10 % , აუცილებელია მშობლის ჩართულობა 80%.
- ეხმარებიან თუ არა მათემატიკური ამოცანის ამოხსნაში? შედეგები ასეთია დიახ 40%, არა ---60%.
- ვინც ეხმარება, რაში გამოიხატება მათი დახმარება? ვუკითხავ ამოცანის პირობას 12,5%, ვეხმარები გამოსახულების შედგენაში 37,5 %, ვუმოწმებ ნამუშევარს 25%, თვითონ ვუხსნი ამოცანას--25%
- გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო დედა 40 % , მამა 30 %, ბებია 20%, ბაბუა 10 %.

  (დანართი 6)

კვლევის მეთოდი დაკვირვება

დაკვირვება მოვახდინე საგაკვეთილო პროცესის დროს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებზე, მათშორის, დიფერენცირებულ ჯგუფებზე. კვლევის პროცესში ჩართული დაკვირვების მეთოდით, ფოკუსირებული დაკვირვებითა და შერჩევითი დაკვირვების მეთოდით დავადგინე , რომ მოსწავლეების ნაწილს უჭირს:

- ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა
- გაწაფული კითხვა
- კითხვისას ინტონაციების დაცვა, სასვენი ნიშნების გათვალისწინება
- კონკრეტული ინფორმაციის მოძიება და ამოკრება ტექსტიდან
- შეკითხვების დასმა და პასუხის ძიება
- მთავარ და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევა

დიაგნოსტიკური ტესტირება

საწყის ეტაპზეგამოვიყენე, იმისათვის რომ შმემოწმებინა შემდეგი უნარები

- გამართული კითხვა
- ლექსიკური მარაგი
- მხატვრული და საინფორმაციო ტექსტის გაგება - გააზრება.
- მათემატიკური ამოცანების ამოხსნის უნარი

გამართულ კითხვაში / ტექსტის წაკითხვის ტესტი (საშუალო მაჩვენებელ იყო 29—45 სიტყვა/წუთში) კარგი მაჩვენებელი ჰქონდა მოსწავლეთა 60 %-ს, საშუალო- 30% - სხოლი დაბალი-- 10%-ს.

ლექსიკური მარაგის ტესტში(საშუალო მაჩვენებელია 15ტესტიდან 8—10ქულა) კარგი მაჩვენებელი ჰქონდა 50%-ს , საშუალო--40 %-ს, ხოლო--დაბალი 10%-ს

ტექსტის გაგება-გააზრების ტესტში(თხრობითი ტექსტი 12 კითხვით + ინფორმაციული ტექსტი 6 კითხვით საშუალო ჯამური ქულაა7—8)კარგი მაჩვენებელი ჰქონდა 40%-ს, საშუალო--30%-ს, ხოლო დაბალი---30%-ს)

(დანართი 7)

5.2. კვლევის მიგნებები.

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება;

- მოსწავლეები სახელმძღვანელოს გარდა იშვიათად კითხულობენ წიგნებს;
- გამართული კითხვის დეფიციტი;
- მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციის პრობლემა;
- დაბალი მოტივაცია;
- მასწავლებლის არასწორი მიდგომა;
- მრავალფეროვანი და სახალისო გაკვეთილების ნაკლებობა:
- საყოფავხოვრებო ამოცანების სიმცირე საგაკვეთილო პროცესში:
- მოსწავლეები ნაკლებად ფლობენ ტექსტის გაგება -გააზრების სტრატეგიებს;
- მწირი ლექსიკური მარაგი;
- მშობლები ნაკლებად არიან ჩართული შვილის მკითხველად ,კერძოდ გაგება - გააზრებაზე ორიენტირებულ მკითხველად ჩამოყალიბებში

5.3. შესაძლო ინტერვენციები

კვლევის პროცესში ინფორმაციის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შევიმუშავე სავარაუდო ინტერვენციის შემდეგი ვარიანტები.

1. გაწაფული /გამართული კითხვის სტრატეგიებზე მუშაობა
2. *ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა*

3. *ტექტის გაგება- გააზრების სტრატეგიებზე მუშაობა .*
4. *ტექსტების კითხვა კითხვის საათებზე მოსწავლეთათვის საინტერესო თემებზე*
5. *დიფერენცირებული მიდგომა*
6. *ამოცანის პირობის გაგება-გააზრებაზე მუშაობა*
7. *მშობელთა ჩართულობა*
8. *განმავითარებელი შეფასება*

5.4. განხორციელებული ცვლილებები.

შევარჩიე და განვახორციელე შემდეგი ცვლილებები:

1. *დავიწყეთ გაწაფული /გამართული კითხვის სტრატეგიებზე მუშაობა*

.გაწაფული /გამართული კითხვის დასაუფლებლად გამოვიყენე შემდეგი სტრატეგიები:

- *საჩვენებელი კითხვა*
- *განმეორებითი კითხვა*
- *წყვილებში კითხვა*
- *მკითხველთა თეატრი*
- *კითხვა აუდიო ჩანაწერის დახმარებით*
- *მოსწავლის წაკითხულის აუდიო ჩანაწერი*

მიზანი: კითხვასი გაწაფვა, სწრაფი და გამომეტყველებითი კითხვის ჩვევების გამომუშავება

2.დავიწყეთ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა ამისათვის გამოვიყენე შემდეგი სტრატეგიები:

- *სიყტვების წინასწარი განხილვა წაკითხვამდე*
- *მნიშვნელობის მოძიება კონტექსტის დახმარებით*
- *ლექსიკონის გამოყენება*
- *გათვალსაჩინოება*
- *დამხმარე გრაფიკული სქემების გამოყენება (მაგ. „სიტყვის პირამიდა“, „სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემა“)*

მიზანი: ლექსიკური მარაგის გამდიდრება

3.ტექტის გაგება- გააზრების სტრატეგიებზე მუშაობა *დავიწყეთ შემდეგი სტრატეგიებით:*

- წინარე ცოდნის გააქტიურება
- ვარაუდებიდ გამოთქმა
- ტექსტის სტრუქტურის დადგენა
- სხვა და სახვა დონის შეკითხვების დასმა
- ვიზუალიზება
- მართული კითხვის აქტივობა
- სქემებით მუშაობა(მაგ . „ვარაუდების სქემა“, „პერსონაჟის რუკა“, „მახასიათებლების ცხრილი“ და სხვა)

- 3-2-1--და მისი ვარიაციები
- შეჯამება და ძირითადი აზრის გამოკვეთა

მიზანი: ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიების დაუფლება

4.ტექსტების კითხვა კითხვის საათებზე მოსწავლეთათვის საინტერესო თემებზე
მოსწალეებთან ჩატარებული ანკეტირებისა და ფოკუსჯგუფთან შეხვედრის დროს დავადგინე თემები, რომლებიც ყველაზე მეტად აინტერესებდათ და სწორედ მათი ინტერესების გათვალისწინებით ვარჩევდით და ვამუშავებდით ტექსტებს.
მიზანი: მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება.

5.დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლეთა საჭიროებებზე რეაგირება მოვახდინე დიფერენცირებით, დიფერენცირება არის სწავლისადმი ისეთი მიდგომა , რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებაზე (ზოგს სჭირდებოდა საკორექციო, ზოგს კი გამამდიდრებელი აქტივობები) საკორექციო აქტივობები დავაფუძნე მოსწავლეებისთვის სასწავლო საკითხების სხვადასხვა მრავალფეროვანი გზებით მიწოდებას, რადგან ვთვლი რომ განმეორებითი სწავლება იგივე მეთოდებით არაეფექტურია.
მიზანი: მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება გაკვეთილების დაგეგმვისას, ყველა მოსწავლისთვის მისთვის დაძლევადი დავალებების მიცემა.(გაკვეთილის გეგმა იხ.დანართი..)

6.ამოცანის პირობის გაგება-გააზრებაზე მუშაობა *დავიწყეთ შემდეგი აქტივობებით:*
- ინფორმაციის დახარისხება და დაჯგუფება
- მოკლე ჩანაწერის გაკეთება
- ამოცანის პიროის გათვალსაჩინოება
- სასწავლო ხარაჩოს გამოყენება
- შეკითხვებიე დასმა
- საყოფავხოვრებო ამოცანების სიუხვე საგაკვეთილო პროცესში
- პარალელურ ამოცანებზე მუშაობა
- ამოცანის ამოხსნა სქემების გამოყენებით

მიზანი: მოსწავლეებმა ისწავლონ ამოცანის პირობის გააზრებისათვის საჭირო სტრატეგიები.

*7.მშობელთა ჩართულობით*განვახორციელეთ შემდეგი აქტივობები:
- *მკითხველთა კლუბი მშობელთა ჩართულობით სკოლაში*
- *სახლში გამეორეობითი კითხვის აქტივობაში დახმარება*
- *ოჯახში ერთობლივი კითხვა*

მიზანი: მშობელთა ჩართულობით მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება, წიგნისადმი ინტერესის გაზრდა.

8. განმავითარებელი შეფასებას ვიყენებდი ხშირად, მოსწავლეებს ვაძლევდი კონსტრუქციულ უკუკავშირს

მიზანი: რეგულარურად განმავითარებელი შეფასებისთ, ანუ ათვისების შემოწმებით გავიგო თუ რა სჭირდება ჩემს თითოეულ მოსწავლეს წარმატებისთვის.

თავი VI.

რეკომენდაციები და ინტერვენციის შეფასება

6.1. ინტერვენციის შეფასება

შეფასების მიზანს წარმოადგენს, გამეგო:

- **რამდენად ეფექტური გამოდგა ,ჩემს მიერ მოსწვლეებთან დანერგილი ტექსტის გაგება- გააზრეის სტრატეგიები.**
- **დაეუფლნენ თუ არა მოსწავლეები ტექსის გაება -გააზრების მეთოდებს.**
- **იყენებენ თუ არა მოსწავლეები სწორად ტექსტის გაგება -გააზრების გრაფიკულ სქემებს.**
- **მუშოაბენ თუ არა ახალ ლექსიკურ ერთეულებზე.**
- **გაუმჯობესდა თუ არა მოსწავლეთა შედეგები**
- **დაეხმარა თუ არა მშობლებს პედაგოგთან თანამშრომლობა შვილებთან სწორად და ეფექურად მუშაობაში.**

ყველაფერი ზემოდ ჩამოთვლილის შესაფასებლადგამოვიყენე: დაკვირვება, ფოკუჯგუფები, ტესტირება, საჩვენებელი გაკვეთილები.

- **დაკვირვებამ აჩვენა , რომ ეფექტური გამოდგა ,ჩემს მიერ მოსწვლეებთან დანერგილი ტექსტის გაგება- გააზრეის სტრატეგიები.**
- ** მოსწავლეები გაიწაფენ კითხვაში**
- **გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი**
- ** მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს ტექსტის გაგება-გააზრების უნარი, რაც უკვე შესამჩნევი გახდა.**
- **უკეთესად ახერხებენ ამოცანის პირობის გააზრებას**
- **დიფერენცირებული მიდგომით გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები**
- **გაკვეთილებზე მივაღწია მიზანს. მივიღე დადებითი შეფასება და უკუკავშირი. გაკვეთილზე გამოჩნდა ,რომ მოსწავლეები ფლობენ ტექსტის გაგება - გააზრების სტრატეგიებს, იყენებენ მეთოდებს და გრაფიკულ სქემებს სწორად და ეფექტურად.**

ასევე დადებითად შეფასდა გაკვეთილზე გამოყენებული , ჩემს მიერ შექმნილი რესურსები, რომლებიც დაეხმარა მოსწავლეებს ტექსტის უკეთ გაგება გააზრებაში.

- მშობლებთან ფოკუსჯგუფი ,რომლის მიხევით დავდგინე რომ თანამშრომლობა პედაგოგთან,დაეხმარა მათ შვილებთნ სწორად მუშაობაში. რომ ისინი უკვე იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს და ჩართული არიან შვილის გაგება- გააზრებაზე ორიენტირებულ მკითხველად ჩამოყალიბებაში.

- მოსწავლეებთან ჩავატარე პოსტესტი რომლის შედეგების მიხედვით თამამად შემიძლია გავაკეთო დასკვნა, რომ გახორციელებულმა სამუშოაებმა გამოიღო შედეგი

დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგები

ტექსტის წაკითხვის ტესტი
*(საშუალოა **29—45** სიტყვა/წუთში)*

ინტერვენციამდე



ინტრერვენციის შემდეგ



ლექსიკური მარაგის ტესტი
(საშუალოა 8-10ქულა)

ინტერვენციამდე



ინტრერვენციის შემდეგ



ტექსტის გაგება-გააზრების ტესტი (თხრობითი+ ინფორმაციული საშუალოა 7-8 ქულა)

ინტერვენციამდე



ინტრერვენციის შემდეგ



ამოცანების ამოხსნა

ინტერვენციამდე



ინტრერვენციის შემდეგ



6.2. რეკომენდაციები

რეკომენდაციები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- მთავარია არა ის, რომელი მეთოდის გამოყენებით შეაგროვებს მასწავლებელი მოსწავლეების სწავლის შესახებ ინფორმაციას, არამედ ის, თუ შეგროვებული ინფორმაციის გამოყენებით როგორ უნდა მოერგოს მოსწავლის საჭიროებებს(ცოდნის დონის ამაღლება)
- გაამდიდრეთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი აქტივობებით
- ჩართეთ მოსწავლეები დისკუსიებში, როლურ თამაშებში, გამოიყენეთ ხშირად ჯგუფური მუშაობის მეთოდები, პრეზენტაციები, ამით უფრო საინტერესო, სახალისო გახდება სასწავლო პროცესი

- 9-10 წლის ბავშვებში უკვე ეყრება საფუძველი ანალიტიკურ აზროვნებას, ამისთვის გამოიყენეთ სხვადასხვა სახის კოგნიტური სქემები
- მოსწავლეთა საჭიროებებზე რეაგირება მოახდინეთ დიფერენცირებით
- მიეცით თავისუფალი არჩევანი დავალების შესასრულებლად
- აღიარეთ მოსწავლეთა მცირედი წარმატებაც კი, ეს მათ წაახალისებთ და უფრო გაბედულები და თვითდაჯერებულნი იქნებიან
- გამოიყენეთ მრავალფეროვანი მეთოდები სწავლისა და ათვისების გადასამოწმებლად
- მიაწოდეთ სასარგებლო, კონსტრუქციული უკუკავშირი
- ხშირად გამოიყენეთ განმავითარებელი შეფასება
- ითანამშრომლეთ მშობლებთან: დაადგინეთ და გაითვალისწინეთ რა არის მათი შვილების წარმატება/წარუმატებლობის მიზეზი

- პედაგოგმა ხშირად მოვახდინო მუშაობის მონიტორინგი.

თავი VII.

დასკვნა

პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შემიძლია გამოვიტანო დასკვნა , რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეებითვის ტექსტის გაგება - გააზრების პრობლების გამოწვევი მიზეზებია :

- გაუწაფავი კითხვა
- მოსწავლების მიერ ტექსტის გაგება - გააზრების სტრატეგიების ნაკლებად ფლობა .
- მოსწალეების მიერ ინფორმციულიტექსტის გაგება -გააზრების მეთოდების,გრაფიკული სქემების ნაკლებად ცონდა და გამოყენება .
- მშობლების არაეფექტური ჩართულობა შვილის გაგება -გააზრებაზე ორიენტირებულ მკითხველად ჩამოყალიბებაში.
- მშობლების პედაგოგთან ნაკლები თანამშრომლობა .

აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა შედეგიანი იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაზე მუშაობის დროს გამოიკვეთა ახალი საკვლევი პრობლემა – დაწყებით კლასებში წერის უნარის განვითარების პრობლემა.

P. S. პრაქტიკული კვლევის დასრულების შემდეგ დაწყებითების კათედრაზე მოვახდინე კვლევის პრეზენტაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016
2. სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული
   ,,კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე I – IV კლასები.”
   (G-PRIED) (გვ. 207 – 290)

3. მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების ხელმძღვანელობა(ფასილტატორის გზამკვლევი) (G-PRIED) ,,საერთაშორისო შეფასების შედეგები კითხვასა და მათემატიკაში“
4. http://mastsavlebeli.ge/?p=4193
   საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის სწავლება დაწყებით საფეხურზე. ინტერნეტგაზეთი .
5. მასწავლებლის წიგნი ,,წიგნიერება „ ავტორი ირინა სამსონია .(გვ 30- 35)
6. სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული ,,ვიზუალური სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები“
   (G-PRIED)

7.გიორგაძე მიხ. „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე?“ / ციფრული რესურსიhttp://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201

8.გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის

თეორიული და პრაქტიკული ასპექტები (29 აგვისტო, 2014) მანანა

ბოჭორიშვილი http://mastsavlebeli.ge/?p=1915

დანართები

დანართი 1

ანკეტა -დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის

მოგესალმებით !

ვატარებთ პრაქტიკულ კვლევას დაწყებით საფეხურზე ტექსტის გაგება - გააზრების პრობლემების გასაუმჯობესებლად. თქვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებისათვის .თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია .არაა საჭირო კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება.

1.გიყვარს თუ არა კითხვა ?

ა) არა ბ) დიახ

2. კითხულობ თუ არა ხშირად ?

ა) ვკითხულობ ყოველდღე ბ) იშვიათად გ) არ ვკითხულობ

3 .რომელი სახის ტექსტებს უფრო ხშირად კითხულობ ?

ა) მხატვრული ბ) ინფორმაციული გ) ორივე.

4 . რომელი სახის ტექსტების წაკითხვა უფრო მოგწონს ?

ა) ინფორმაციული ბ) მხატვრული გ) ორივე

5 .ინფორმაციული ტექსტის რომელი თემებით ხარ დაინტერესეული?

ა) ბიოგრაფიები

ბ) ისტორიული მოვლენები

გ) ცხოველთა და ფრინველთა სამყარო.

დ) კოსმოსი

ე) გამოგონებები

ვ) ჩამოთვალე შენთვის საინტერესო ----------

---

6 . რომელი სახის ტექსტის გაგება - გააზრება უფრო გიადვილდება ?

ა) მხატვრული ბ) ინფრომაციული გ) ორივე

7. . რა ხერხს მიმართავ თუ ტექსტში უცნობი სიტყვა შეგხვდება ?

ა) ვაგრძელებ კითხვას.

ბ) გამოვთქვამ ვარაუდს .

გ) ვცდილობ ავხსნა კონტექსტში.

დ) ვეკითხები სიტყვის მნიშვნელობას სხვას.

8 . როგორ უფრო გირჩევნია ტექსტის კითხვა ?

ა) ინდივიდულაურად ბ) წყვილებში გ) ჯგუფურად

9 .შეგიძლია თუ არა წაკითვხის შემდეგ ტექსტის ირგვლივ კითხვების დასმა ?

ა) დიახ შემიძლია ბ) არ შემიძლია გ) მიჭირს კითხვების დასმა

10 .შეგიძლია თუ არა ტექტის წაკითხვის შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა ?

ა) დიახ შემიძლია

ბ) არ შემიძლია დამოუკიდებლად

გ) მიჭირს პასუხების გაცემა .

გმადლობთ

დანართი 2

ანკეტა -დაწყებითი საფეხურის მშობლებისათვის

მოგესალმებით !

ვატარებთ პრაქტიკულ კვლევას დაწყებით საფეხურზე ინფორმაციული ტექსტის გაგება - გააზრების პრობლემების გასაუბჯობესებლად. თქვენი , როგორც მშობლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებისათვის .თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია .არაა საჭირო კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება.

1 .რამდენად ახერხებთ იკითხოთ შვილთან ერთად ?

ა) პრაქტიკულად ყოველდღე .

ბ) ძალიან იშვიათად.

გ) ვცდილობ ხშირად ვიკითხო მასათან ერთად .

დ) პრაქტიკულად ვერ ვახერხებ .

2 . რას კითხულობთ შილთან ერთად ?

ა) მხოლოდ სკოლის სახემძღვანელოს ტექსტებს.

ბ) დამატებით საკითხავ ლიტერატურას.

გ) ორივეს

3 . რომელი ტიპის ტექსტებს კითხულობთ უფრო მეტად ?

ა) მხატრული ბ) ინფორმაციული გ) ორივე

4. რომელი ტიპის ტექსტები მოსწონს შენს შვილს უფრო მეტად ?

ა) მხატვრული ბ) ინფორმაციული გ) ორივე

5 . წაკითხვის შემდეგ მსჯელობთ თუ არა ტექსტის ირგვლივ?

ა) არ ვმსჯელობთ

ბ) ვუსვამ შეკითხვებს .

გ) ვეკითხები რა მოეწონა და რა არ მოეწონა.

დ) ვცდილობ ვიმსჯელოთ .

6 .რას ამჩნევთ რომელი ტიპის ტექსტის გაგება -გააზრება უფრო მეტად ეძნელება თქვენს შვილს ?

ა) მხატვრული ბ) ინფორმაციული გ) ორივე

7 . არჩევთ თუ არა საკითხავ ტექტს შვილის ასაკის შესაბამისად?

ა) ხანდახან ვცდილობ ავარჩიო ასაკის შესაბამისად

ბ) არ ვაქცევ ყურაღებას რას წავუკითხავ

გ) აუცილებლად ვარჩევ მისი ასაკის შესაბამის ტექსტს.

8 . როგორ ფიქრობთ რას ნიშნავს ტექსტის გაგება -გააზრება ?

ა) როცა ბავშვს ესმის ტექსტი ყველა სიტყვის მნიშვნერლობა .

ბ) როცა ბავშვს შეუძლია გადმოსცეს წაკითხული .

გ) როცა ბავშვს შეუძლია იმსჯელოს, გამოთქვას საკუთარი აზრი წაკითხულის ირგვლივ.

9 .თვლით თუ არა,რომ შვილის კარგ მკითხველად ჩამოყალიბებაში მშობელი აქტიურად უნდა ჩაერთოს ?

ა) არ არის საჭირო მშობლის ჩარევა

ბ) შვილი დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბდეს აქტიურ მკითხველად .

გ) აუცილებელია მშობლის ჩართულობა, შვილის კარგ მკითხველად ჩამოყალიბებაში.

10 .ეხმარებით თუ არა თქვენს შვილს მათემატიკური ამოცანის ამოხსნაში?

ა) დიახ ბ)არა

11. თუ ეხმარებით, რა ფორმით უწევთ დახმარებას ?

ა) ვუკითხავ ამოცანის პირობას ბ) ვეხმარები გამოსახულების შედგენაში

გ) ვუმოწმებ ნამუშევარს დ) ვუხსნი ამოცანას

12.გამოკითვაში მონაწილეობდა

ა) დედა ბ) მამა გ) ბებია დ) ბაბუა

გმადლობთ

დანართი 3

კითხვები მოსწავლეთა ფოკუსჯგუფისთვის

1. რამდენ დროს ანდომებ კითხვას სახლში?
2. ხშირად გეხმარებათ მშობლები მეცადინეობისას?
3. რამდენჯერ კითხულობ ტექსტს გასააზრებლად?
4. როგორი გაკვეთილები მოგწონთ?
5. რომელი უფრო მოგწონთ : წიგნის კითხვა, ტელეფონზე თუ კომპიუტერზე თამაში?
6. დაასახელე ბოლოს წაკითხული წიგნი
7. გიჭირთ თუ არა ტექსტებისა და ამოცანის პირობის გააზრება?
8. თქვენი აზრით რა უნდა იყოს ამპრობლემის გამომწვევი მიზეზი?

დანართი 4

კითხვები მასწავლებელეთა ფოკუსჯგუფისთვის

1. როგორ ფიქრობთ არის თუ არა მნიშვნელოვანი და აქტუალური დაწყებით საფეხურზე ტექსტის გაგება - გააზრების პრობლემის კვლევა?

2. დაწყბით საფეხურზე რომელი ტიპის ტექსტის გაგება-გააზრებაა უფრო ადვილი?

3. რას მიიჩნევთ დაწყებით საფეხურზე ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემის მიზეზად?

4. რომელ მეთოდებს იყენებთ ტექსტის გაგება- გააზრებისთვის?

5. თქვენს მიერ გამოყენებული მეთოდებიდან რომელია უფრო ეფექტური?

6. რას მიიჩნევთ დაწყებით საფეხურზე ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემის გადაჭრის გზად?

დანართი 5.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები






3.რომელი სახის ტექსტებს უფრო ხშირად კითხულობ?
30%
70%
მხატვრულს
ინფორმაციულს
ორივეს


4.რომელი სახის ტექსტების წაკითხვა უფრო მოგწონს?
30%
20%
ინფორმაციული
მხატვრული
ორივე


5.ინფორმაციული ტექსტის რომელი თემებით ხართ დაინტერესებული?
ბიოგრაფიები
ისტორიული
ცხოველთა და ფრინველთა სამყარო
კოსმოსი
გამოგონებები


6.რომელი სახის ტექსის გაგება-გააზრება უფრო გეადვილება ?
10%
30%
60%
მხატვრული
ინფორმაციული
ორივე

7. რა ხერხს მიმართავთ თუ ტექსტში უცნობი სიტყვა შეხვდათ?



.

8.როგორ გირჩევნია კითხვა?


70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
ინდივიდუალურად
წყვილში
ჯგუფურად
Series 3
Series 2
Series 1

9.შეგიძლია თუ არა წაკითხვის შემდეგ კითხვების დასმა ?
10%
90%
დიახ
არა



დანართი 6.

მშობელთა გამოკითხვის შედეგები



2. რას კითხულობთ ილთან ერთად ?



3. რომელი ტიპის ტექსტებს კითხულობთ უფრო მეტად ?



4. რომელი ტიპის ტექსტები მოსწონს შენს შვილს უფრო მეტად ?



5. წაკითხვის შემდეგ მსჯელობთ თუ არა ტექსტის ირგვლივ?



6 .რას ამჩნევთ რომელი ტიპის ტექსტის გაგება -გააზრება უფრო მეტად ეძნელება თქვენს შვილს ?



7. არჩევთ თუ არა საკითხავ ტექტს შვილის ასაკის შესაბამისად?



8 . როგორ ფიქრობთ რას ნიშნავს ტექსტის გაგება -გააზრება ?



9.თვლით თუ არა, რომ შვილის კარგ მკითხველად ჩამოყალიბებაში მშობელი აქტიურად უნდა ჩაერთოს ?



10 .ეხმარებით თუ არა თქვენს შვილს მათემატიკური ამოცანის ამოხსნაში?



11. თუ ეხმარებით, რა ფორმით უწევთ დახმარებას ?



12.გამოკითვაში მონაწილეობდა



დანართი 7

დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგები

ტექსტის წაკითხვის ტესტი
*(საშუალოა **29—45** სიტყვა/წუთში)*

ინტერვენციამდე



ინტრერვენციის შემდეგ



ლექსიკური მარაგის ტესტი
(საშუალოა 8-10ქულა)

ინტერვენციამდე



ინტრერვენციის შემდეგ



ტექსტის გაგება-გააზრების ტესტი (თხრობითი+ ინფორმაციული საშუალოა 7-8 ქულა)

ინტერვენციამდე



ინტრერვენციის შემდეგ



დანართი 8

კითხვის გაკვეთილის/აქტივობის დაგეგმვის სქემა

დიფერენცირების ელემენტებით

ავტორი:ფატიგაფრინდაშვილი

თემა: ლელა ქისტაურის „ცხოველების კბილები"

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა	**კლასი:** III
დრო: 45 წთ	
შესავალი	
გაკვეთილის/აქტივობის ძირითადი მიზანი:სიტყვის მნიშვნელობის გააზრება,ცხოველების არსებობისთვის კბილების მნიშვნელობის გაგება- გააზრება. საინფორმაციო ტექსტის წაკითხვის სტრატეგიების დაუფლება.	
სწავლის შედეგები	
დამოკიდებულება:ბავშვები პოზიტიურად განეწყობიან და გააცნობიერებენ კბილების დანიშნულებას , გაიაზრებენ რომ კბილების მოვლა და ჰიგიენის დაცვა ყოველთვის საჭიროა.	
ცოდნა: ისწავლიან რა მნიშვნელობა აქვს კბილებს ცხოველებისათვის, დაეუფლებიან საინფორმაციო ტექსტის წაკითხვის სტრატეგიებს, სიტყვის მნიშვნელობის განსაძღვრას კონტექსტის მიხედვით.	**უნარები:**სიტყვის მნიშვნელობის გააზრების,საინფორმაციო ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვის , მასზე მსჯელობის, დასმულ შკითხვებზე ტექსტში პასუხის მოძებნის უნარი.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:

ქართ. III. 5.მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება და გაგება (მაგ., საინფორმაციო ტექსტისა საბავშვო ენციკლოპედიაში, მარტივი ენით დაწერილი მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციების, განცხადებისა და სხვ.).

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს თემას;
- ასახელებს ტექსტის კომპოზიციურ მახასიათებლებს (სათაურს, ილუსტრაციას, წარწერას,

პირობით ნიშანს, რუბრიკას, აბზაცების რაოდენობას, სქემასა და სხვ.);

- ამოიცნობს, რომელ რუბრიკაში, ტექსტის რომელ ნაწილში უნდა ეძებოს ესა თუ ის ინფორმაცია (მაგ., რას ჭამს ზღარბი? . . . - რუბრიკაში „საკვები“);
- ამოიცნობს ილუსტრაციების ქვემოთ მოცემული წარწერების შინაარსს;
- ეძებს და პოულობს, რომელ რუბრიკას / ქვესათაურს უკავშირდება ილუსტრაცია, მისი წარწერა;
- ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს და სხვ.);
- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;
- ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნები.

ქართ. III. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ზოგიერთი სტრატეგიის გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცდილობს უცნობი სიტყვების ახსნას კონტექსტის გათვალისწინებით;
- აღწერს, რა ხერხს მიმართა დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენადაა პასუხის სისწორეში დარწმუნებული („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“);
- განსაზღვრავს და პოულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელსაც უნდა მიუბრუნდეს პასუხის დასაზუსტებლად;

საჭირო წინა ცოდნა და უნარჩვევები:მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა, მახასიათებლებზე საუბარი, ვარაუდების გამოთქმა, მხატრული და ინფორმაციული ტექსტების გარჩევა.

წინარე ცოდნის შეფასება (რა იცით მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შესახებ? რა წყაროებს ეყრდნობით?)
წინარე ცოდნის შეფასებას ვახდენ მოსწავლეებზე დაკვირვებით

გაკვეთილის/აქტივობის გეგმა

მოსწავლეთა დაჯგუფების ფორმები: მთელი კლასი, ჯგუფები, წყვილები და ინდივიდუალური.

დაჯგუფების კრიტერიუმები:დიფერენცირებული მიდგომა: ა)გაწაფული მკითხველები(ინდივიდუალური მუშაობა) ბ)გაწაფულ კითხვაში პრობლემური მკითხველებილ. გ)კითხვაში პრობლემური მკითხველები(ჯგუფური მუშაობა მასწავლებლის დახმარებით)

გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები/სტრატეგიები/აქტივობები:
გონებრივი იერიში

<table>
<tr><td colspan="3">სიტყვების გამომძიებელი
მახასიათებლების ცხრილის შევსება
პრეზენტაციები
3-2-1
ფუნქციური წერა</td></tr>
<tr><td colspan="3">სასწავლო მასალა: საკითხავი ტექსტი ლელა ქისტაურის ,,ცხოველების კბილები’’, მახასიათებლების ცხრილი, შედარების ცხრილი, ავტოკალამი, თაბახის ფურცლები, ფერადი ფურცლები, მარკერები.</td></tr>
<tr><td colspan="3">გაკვეთილის/აქტივობის ეტაპები</td></tr>
<tr><td>Iწაკითხვამდე
მასწავლებელი წარადგენს შესასწავლ ტექსტს ლელა ქისტაურის ,,ცხოველების კბილები’’ . შემდეგ უხსნის მოსწავლეებს რომ საუბარი ექნებათ ცხოველების კბილების შესახებ და ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე სვამს რამდენიმე შეკითხვას.
➢ რაში სჭირდებათ ცხოველებს კბილები?
➢ რომელიმე ცხოველის კბილები თუ გინახავთ?
➢ ყოველ ცხოველს ერთნაირი კბილები აქვს?
➢ როგორი ცხოველები გაგიგიათ?
➢ რით იკვებებიან ისინი?
➢ როგორ ფიქრობთ რით განსხვავდებიან ბალახისმჭამწლი ცხოველების კბილები მტაცებელი ცხოველის კბილებისაგან?
შემდეგ გამოაკრრავს ფურცელს ტექსტში არსებული მეორე რეგისტრის სიტყვებით, გაამარტინებს მათ მნიშვნელობებს. ცხრილის</td><td>IIკითხვის დროს
მასწავლებელი კითხყლობენ ტექსტებს და თან ასრულებენ მითითებულ დავალებებს. I-ჯგუფის დავალება განსხვავებულია. ასევე გახაზავენ ყველა ზედსართავ სახელს.</td><td>IIIწაკითხვის შემდეგ მოსწავლეები გაიწაფებიან ცოდონის გამოყენებაში

მოსწავლეები აკეთებენ პრეზენთაციას. შემდეგ მასწავლებელი უსვამს სხვადასხვა დონის შეკითხვებს ტექსტიასევეს უკეთ გასააზრებლად და მსჯელობენ.
შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ წერით დავალებას
3-2-1
3 რამ რაც დღეს ისწავლეს
2 რამ რაც მათთვის საინტერესო იყო და
1 შეკითხვა, რომლის დასმა გსურთ.

დავალებად ეძლევათ : ტექსტი თხრობით, თხზულება ,,ჩვენ და კბილები’’</td></tr>
</table>

შევსების შემდეგ მასწავლებელი კითხულობს ტექსტის შესავალ ნაწილს გამომეტყველებით. შემდეგ ურიგებს ჯგუფებში (დიფერენცირებული მიდგომით: I)გაწაფული მკითხველები(ინდივიდუალური მუშაობა) II)გაწაფულ კითხვაში პრობლემური მკითხველებილ. III)კითხვაში პრობლემური მკითხველები(ჯგუფური მუშაობა მასწავლებლის დახმარებით))ტექსტებს თითო ჯგუფს ორ-ორ ცხოველზე . მოსწავლეებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ ტექსტი და შეასრულონ 3 ძირითადი დავალება 1.შეავსონ მახასიათებლების ცხრილი 2.განსაზღვრონ თითო ყველაზე დიდი მსგავსება და განსხვავება 3.დააზუსტონ განხილული სიტყვების მნიშვნელობა		

შეფასება:

როგორ დააკვირდებით მოსწავლეთა სწავლის პროცესს და შედეგებს? რის მიხედვით იმსჯელებთ მათ მიღწევებზე?

მოსწავლეებს დავაკვირდები მუშაობის პროცესში, გავაკეთებ ჩანაწერებს ასევე გამოვიყენებ შსეფასების რუბრიკას. მათ მიღწევებზე ვიმსჯელებ თუ როგორ იმსჯელეს, როგორ შეასრულეს დავალებები, პრეზენტაციის,შემოქმედებითობის, კითხვის სტრატეგიების გამოყენებისა და ურთიერთ თანამშრომლობის მიხედვით.

დამატებითი რესურსი:

თითო ცალი ტექსტი, მახასიათებლების ცხრილი ყველა მოსწავლეს,დიდი ფურცლები, მარკერები.

მახასიათებლების ცხრილი

ცხოველი	სად ბინადრობს/ რას უწოდებენ	რამდენი კბილი აქვს	როგორია გარეგნულად	საინტერესო ინფორმაცია
პირველი ცხოველი				
მეორე ცხოველი				

ავტორი:ფატი გაფრინდაშვილი

დიფერენცირების ელემენტებით

კითხვის გაკვეთილის/აქტივობის დაგეგმვის სქემა

თემა: ლელაქისტაურისმოთხრობა,,ოფოფების წვეულება“

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა	**კლასი:** III
დრო: 45 წთ	
შესავალი	
გაკვეთილის/აქტივობის ძირითადი მიზანი:სიტყვისმნიშვნელობისგააზრება,ვარაუდების გამოთქმის, ტექსტის გაგება- გააზრებისსტრატეგიების დაუფლება.	
სწავლის შედეგები	
დამოკიდებულება:ბავშვებიპოზიტიურად განეწყობიან ფრინვლების მიმართ, დააფასებენ სტუმართმოყვარეობას, გააცნობიერებენ რომზომიერების დაცვაყოველთვის საჭიროა.	
ცოდნა: ისწავლიან ვარაუდების გამოთქმას,გაიაზრებენ როგორ დაახასიათონ პერსონაჟი,გაიაზრებენ როგორი საქციელია მათთვის მისაღები,გაიგებნ ახალ სიტყვებს.	**უნარები:**სიტყვის მნიშვნელობის გააზრების,ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვის , მასზე მსჯელობისა და ვარაუდებისგამოთქმის უნარი,პერსონაჟის

	ქცევის ინტერპრეტირებისა და შეფასების უნარი, დასმულ შკითხვებზე ტექსტში პასუხის მოძებნის უნარი.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:

ქართ. III. 6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის სხვადასხვა სახისა და ჟანრის თხრობითი ტექსტების (ზღაპრის, ნოველის, მოთხრობის, იგავ-არაკის, წერილის, ნამდვილი ამბის...) დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;
- განსაზღვრავს მოქმედებათა დროსა და ადგილს;
- ამოკრებს კონკრეტულ ინფორმაციას (სად, როდის, რამდენი, რამდენჯერ, როგორი, რითი და სხვ.);
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს;

იმახსოვრებს და საკუთარი სიტყვებით გადმოცემს ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;

ქართ. III. 7. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტის მიმართ საკუთარიდამოკიდებულების გამოხატვა.

შედეგითვალსაჩინოა, თუმოსწავლე:

- გამოხატავს წაკითხული ტექსტით აღძრულ ემოციებს, განცდებს;
- ასახელებს მულტფილმებს, სურათებს, ნახატებს, მოსმენილ და წაკითხულ ნაწარმოებებს, რომლებიც გაახსენდა ტექსტის კითხვის დროს; მსჯელობს მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე;
- ასახელებს ნაწარმოების გმირების მოქმედების მოტივს (რატომ მოიქცა ასე) და აფასებს მათს საქციელს;

ქართ. III. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის ზოგიერთი სტრატეგიის გამოყენება.

საჭირო წინა ცოდნა და უნარჩვევები:მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა, პერსონაჟის მახასიათებლებზე საუბარი, სურათის მიხედვით ამბის შეთხზვა , დასათაურება, ვარაუდების გამოთქმა, მხატრული და ინფორმაციული ტექსტების გარჩევა.

წინარე ცოდნის შეფასება (რა იცით მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შესახებ? რა წყაროებს ეყრდნობით?)
წინარე ცოდნის შეფასებას ვახდენ მოსწავლეებზე დაკვირვებით

გაკვეთილის/აქტივობის გეგმა		
მოსწავლეთა დაჯგუფების ფორმები: მთელი კლასი, ჯგუფები, წყვილები და ინდივიდუალური. **დაჯგუფების კრიტერიუმები:**დიფერენცირებული მიდგომა: ა)გაწაფული მკითხველები(ინდივიდუალური მუშაობა) ბ)გაწაფულ კითხვაში პრობლემური მკითხველებილ. გ)კითხვაში პრობლემური მკითხველები(ჯგუფური მუშაობა მასწავლებლის დახმარებით) **გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები/სტრატეგიები/აქტივობები:** სავარაუდო წინადადებების შედგენა ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა გონებრივიიერიშით ასოციაციური რუკის შედგენა ვარაუდების სქემის შევსება სიტყვის პირამიდის შევსება შეკითხვებზე პასუხი ფუნქციური წერა		
სასწავლო მასალა: საკითხავი ტექსტი ლელა ქისტაურის ,,ოფოფების წვეულება“, ნახატები ტექსტის მიხედვით, ვარაუდების სქემა, ასოციციციური რუკა, სიტყვის პირამიდა,ავტოკალამი, თაბახის ფურცლები, ფერადი ფურცლები, მარკერები.		
გაკვეთილის/აქტივობის ეტაპები		
Iწაკითხვამდე მასწავლებელი მოასმენინებს ოფოფების ხმას და კითხულობს გაუგონიათ თუ არა ასეთი ხმა და რომელ ფრინველს ეკუთვნის იგი. აჩვენებს ნახატს ოფოფის გამოსახულებით და კითხულობს რომელი ფრინველია გამოსახული ნახატზე, შემდეგ თხოვს ბავშვებს დაეხმარონ ასოციაციური რუკის შედგენაში , ანუ ფორმატზე წრის ირგვლივ სადაც წერია ოფოფი დაწერონ ყველაფერი რაც იციან ოფოფის შესახებ. შემდეგ წარადგენს შესასწავლ ტექსტს ,,ოფოფების წვეულება“(ანუ რატომ გათავდა ტყის მარკეტში რძე) . შემდეგ გამოაკრრავს ფურცელს ტექსტში	**IIკითხვის დროს** მასწავლებელი ურიგებს ტექსტებს მოსწავლეებს და სთხოვს წაიკითხონ მონაკვეთების მიხედვით . შემოხაზონ სამიზნე სიტყვებითან შესაბამისად შეავსონ ცხრილები. შემდეგ თან წაიკითხავენ და თან ვარაუდები გადააქვთ ვარაუდების სქემაში. I-ჯგუფის სქემა განსხვავებულია. ასევე ავსებენ სიტყვის პირამიდას.	**IIIწაკითხვის შემდეგ** **მოსწავლეები გაიწაფებიან ცოდონის გამოყენებაში** მოსწავლეები აკეთებენ პრეზენთაციას. მასწავლებელს მოსწავლეების ნააზრები გადააქვს ფორმატზე. შემდეგ მასწავლებელი უსვამს სხვადასხვა დონის შეკითხვებს ტექსტიასევეს უკეთ გასააზრებლად და მსჯელობენ . მოსწავლეები ავსებენ ჯგუფური თვითშეფასების ფურცლებს. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს და თან უხსნის რომ ეს შეფასება საბოოლოო არ არის და გაითვალისწინაბს

არსებული მეორე რეგისტრის სიტყვებით, გაამარტინებს მათ მნიშვნელობებს, შეადგენინებს ამ სიტყვების გამოყენებით სავარაუდო წინადადებებს. ამის შემდეგ ურიგებს ჯგუფებში (დიფერენცირებული მიდგომით: I)გაწაფული მკითხველები(ინდივიდუალური მუშაობა) II)გაწაფულ კითხვაში პრობლემური მკითხველებილ. III)კითხვაში პრობლემური მკითხველები(ჯგუფური მუშაობა მასწავლებლის დახმარებით)) ვარაუდების სქემებს აცნობს შევსების ინსტრუქციას და სთხოვს შეავსონ რას ფიქრობენ სათაურის წაკითხვის შემდეგ.		მათ შეფასების ფურცლებსა და დავალებებსაც. დავალებად ეძლევათ : ტექსტი თხრობით, გააგრძელონ მოთხრობა და შექმნან ნახატები სიუჟეტის მიხედვით.ასევე უნდა დაწერონ რჩევა მათთვის ვინც მიდის ,,ნაყინის წვეულებაზე“

შეფასება:

როგორ დააკვირდებით მოსწავლეთა სწავლის პროცესს და შედეგებს? რის მიხედვით იმსჯელებთ მათ მიღწევებზე?

მოსწავლეებს დავაკვირდები მუშაობის პროცესში, გავაკეთებ ჩანაწერებს ასევე გამოვიყენებ ჯგუფური თვითსეფასების რუბრიკას. მათ მიღწევებზე ვიმსჯელებ თუ როგორ იმსჯელეს, როგორ შეასრულეს დავალებები, პრეზენტაციის,შემოქმედებითობის, კითხვის სტრატეგიების გამოყენებისა და ურთიერთ თანამშრომლობის მიხედვით.

დამატებითი რესურსი:

თითო ცალი ტექსტი, ვარაუდების სქემა და სიტყვის პირამიდა ყველა მოსწავლეს,დიდი ფურცლები, მარკერები.

ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები

სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს	ჯგუფის ყველა წევრი აქტიურია, წევრებს შორის არის პოზიტიური დამოკიდებულება. მოცემული ამოცანა სწორად არის გადაწყვეტილი. მსჯელობა დამაჯერებელია. აქტივობის მიზანი მიღწეულია.

ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს	ჯგუფის ყველა წევრი აქტიურია, გათვალისწინებულია მხოლოდ ზოგიერთი მოთხოვნა, დასახული მიზანი მიღწეულია.	
ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს	ჯგუფის ზოგიერთი წევრი პასიურია. სამუშაო არ არის ორგანიზებული ჯგუფის წევრებს შორის. არ გააჩნიათ მოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი. მსჯელობა არასაკმარისი და არადამაჯერებელია, მხოლოდ ნაწილობრივ გასაგებია და მოითხოვს დამატებით განმართებას, მიზანი არ არის მიღწეული.	

დანართი 9

ინტერვენციების შეფასების რუბრიკა

	კრიტერიუმი	კარგი	საშუალო	დაბალი
1	**გაწაფული /გამართული კითხვის სტრატეგიებზე მუშაობა;** - *საჩვენებელი კითხვა* - *განმეორებითი კითხვა* - *წყვილებში კითხვა* - *მკითხველთა თეატრი* - *კითხვა აუდიო ჩანაწერის დახმარებით* - *მოსწავლის წაკითხულის აუდიო ჩანაწერი*			
2	*ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა:* - *სიტყვების წინასწარი განხილვა წაკითხვამდე* - *მნიშვნელობის მოძიება კონტექსტის დახმარებით* - *ლექსიკონის გამოყენება* - *გათვალსაჩინოება*			

	დამხმარე გრაფიკული სქემების გამოყენება (მაგ. „სიტყვის პირამიდა“, „სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემა“)			
3	*ტექტის გაგება- გააზრების სტრატეგიებზე მუშაობა:* წინარე ცოდნის გააქტიურება - ვარაუდებიდ გამოთქმა - ტექსტის სტრუქტურის დადგენა - სხვა და სახვა დონის შეკითხვების დასმა - ვიზუალიზება - მართული კითხვის აქტივობა - სქემებით მუშაობა(მაგ . „ვარაუდების სქემა“, „პერსონაჟის რუკა“, „მახასიათებლების ცხრილი“ და სხვა) - 3-2-1--და მისი ვარიაციები - შეჯამება და ძირითადი აზრის გამოკვეთა			
4	*ტექსტების კითხვა კითხვის საათებზე მოსწავლეთათვის საინტერესო თემებზე*			
5	*დიფერენცირებული მიდგომა*			
6	*ამოცანის პირობის გაგება-გააზრებაზე მუშაობა:* - ინფორმაციის დახარისხება და დაჯგუფება - მოკლე ჩანაწერის გაკეთება - ამოცანის პიროის გათვალსაჩინოება - სასწავლო ხარაჩოს გამოყენება - შეკითხვებიე დასმა - საყოფავხოვრებო ამოცანების სიუხვე საგაკვეთილო პროცესში - პარალელურ ამოცანებზე მუშაობა - ამოცანის ამოხსნა სქემების			

	გამოყენებით			
7	*მშობელთა ჩართულობა:* - *მკითხველთა კლუბი მშობელთა ჩართულობით სკოლაში* - *სახლში გამეორეობითი კითხვის აქტივობაში დახმარება* - *ოჯახში ერთობლივი კითხვა*			
8	*განმავითარებელი შეფასება*			

კვლევის უკუკავშირის რეფლექსია

პრაქტიკული კვლევის დასრულების შემდეგ კოლეგებთან მოვახდინე კვლევის პრეზენტაცია. თავიდან ვფიქრობდი ანგარიში წარმედგინა დაწყებითი კათედრის წევრებისა და ადმინისტრაციისთვის, მაგრამ როდესაც პრეზენტაციის შესახებ სხვა პედაგოგებმაც გაიგეს (ვინაიდან ასეთი ტიპის კვლევა პირველებმა ჩვენ ჩავატარეთ სკოლაში) რამდენიმემ სურვილი გამოთქვა დასწრებოდა პრზენტაციას. მათ პროექტორის საშუალებით ეკრანზე წარვუდგინე ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში. საკვლევი თემა იყო: ***ტექსტის გაგება -გააზრების პრობლემები დაწყებით საფეხურზე და მათი გადაჭრის გზები.*** გავაცანი, რომ კვლევის განხორციელებისკენ მიბიძგა დიაგნოსტიკურმა ტესტირებამ, რომელიც მე-3 კლასში ჩავატარე. კვლევაში ჩართული ვიყავით 3 მასწავლებელი, რადგან სამივეს ერთი და იგივე პრობლემა აღმოგვაჩნდა ერთობლივად ჩამოვაყალიბეთ საკვლევი თემა. მათ გავაცანი კვლევის მიზნები და ამოცანები, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, ლიტერატურა რომელიც გამოვიყენე კვლევისათვის, კვლევის მეთოდები, კვლევის შედეგები: მონაცემთა ანალიზი, კვლევის მიგნებები, ინტერვენციები, განხორციელებული ცვლილებები ასევე ინტერვენციის შეფასება და რეკომენდაციები. გვაცანი, რომ კვლევა მიმდინარეობდა 5 თვის მანძილზე (იანვარი,თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი). კოლეგებს გავუზიარე საკუთარი გამოცდილება, თუ როგორ გამოვიყენე

კვლევის მიგნებები მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

კოლეგებისთვის საინტერესო აღმოჩნდა აღნიშნლი კვლევის ანგარიში. გაზიარებას ჰქონდა ინტერაქციული ხასიათი, რადგან პრეზენტაციის მსვლელობისას კოლეგებს გაუჩნდათ კითხვები და მოსაზრებები, ამიტომ გადავწყვიტეთ გზადაგზა გვემსჯელა. მათ აღნიშნეს, რომ პრობლემა იყო ნამდვილად აქტუალური, კვლევის მიზნები შეესაბამებოდა საკვლევ პრობლემატიკას, ასევე წარმოდგენილი ლიტერატურა იყო გაანალიზებული და მსჯელობა საკითხის გარშემო ლოგიკური, ანგარიშში კვლევის ყველა ეტაპი იყო ასახული, კვლევის შედეგები თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი ტექსტებისა და დიაგრამების სახით, რაც ანგარიშს ადვილად აღსაქმელს ხდიდა. მათთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა კვლევის მიგნებები და ინტერვენციები. მირჩიეს, რომ სასურველი იქნებოდა წარმომედგინა უფრო კონკრეტულად რომელი იტერვენცია აღმოჩნდა უფრო შედეგიანი(თუმცა მე ვთვლი, რომ სასურველი შედეგი მიღწეული იქნა კომპლექსურად, მრავალმხრივი ინტერვენციით და არა ერთი რომელიმე განსაკუთრებული ინტერვენციით). ასევე მირჩიეს კვლევისათვის გამოსაყენებელი სხვა ლიტერატურა, რომელიც მათი აზრით, საინტერესო აღმოჩნდება ჩვენთვის მსგავსი კვლევის ჩასატარებლად.

გავითვალისწინებთ კოლეგების მიერ გაზიარებულ საინტერესო რჩევებს, რომელთა უმრავლესობა ჩვენთვის მისაღები და სასარგებლო აღმოჩნდა, კერძოდ:

1.გავაგრძელოთ სამუშაო შეხვედრების ჩატარება სხვადასხვა კათედრაზე, რომელზეც დეტალურად გავუზიარებთ კოლეგებს მიღებულ გამოცდილებას.

2.ჩვენი გამოცდილება ასევე ავსახოთ თემატური გეგმების შედგენის დროს და გავწეროთ გაგება-გააზრების ხელშემწყობი აქტივობები, მეთოდები და რესურსები.

3.ჩვენი კათედრის წარმოადგენლებთან ერთად შვქმნათ რესურსების ბანკი სხვადასხვა კლასებისათვის

4. შემაჯამებელი სამუშაოს ერთ-ერთ ტიპად დავნერგოთ ისეთი საშუალება, რომელიც შეაფასებს მოსწავლეთა გაგება-გააზრების უნარებს, როგორც მხატვრული, ისე საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობისას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი იყო კოლეგების უკუკავშირი, რომელიც უფრო მეტად დაგვეხმარა, გაგვეაზრებინა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მნიშვნელობა.

ფატი გაფრინდაშვილი

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლა. 2018 წელი